F567 ✓ 3409

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

გამოცემის მე-11 წელი

№ 5 (165)

მარტი,

1967 წელი

საბჭოჭლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა



8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა

ბედნიერი დედა, მშრომელი

ზინაიდა კვაჭაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!“ — რვა საუკუნის წინათ თქვა გენიალურმა რუსთაველმა, რომელმაც მსოფლიო ლიტერატურაში პირველმა აიმაღლა ხმა ქალთა უფლებების დასაცავად, მამაკაცთან მის თანასწორუფლებიანობაზე. ეს იყო აშკარა პროტესტი სიბნელით მოცული იმ წესწყობილების მიმართ, რომელიც ქალს ჩრდილში აყენებდა, მამაკაცის მორჩილებას ავალებდა, მხოლოდ ოჯახის დიასახლისად თვლიდა და სრულიადაც არ ცნობდა მის უფლებებს საზოგადოებაში.

მხოლოდ სოციალისტურმა წყობილებამ გაათავისუფლა ქალი მონობისაგან — ექსპლოატაციის ბორკილებისაგან, გამოიყვანა იგი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ფართო გზაზე.

მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი რესპუბლიკის ქალები. საქართველოში არ არის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისეთი დარგი, სადაც ქალები არ მუშაობდნენ.

ქართველი ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო მართვაში. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტისა და ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობა. წინასაარჩევნო კრებებზე დასახელებულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის 125 ქალია, ხოლო ადგილობრივ საბჭოში — 20.940. ჩვენი დიადი სამშობლოს საკანონმდებლო ორგანოში — საკავშირო უმაღლეს საბჭოში — რესპუბლიკიდან წარგზავნილთა შორის 19 ქალია.

სად არ შეხვდებით დღეს ქალს, სოციალისტური მშენებლობის რომელ უბანზე არ მუშაობენ ისინი. აბა, ვის არ სმენია მეჩაიე თამარ ყუფუნიას, პირველი ტრაქტორისტი ქალის ელენე ნატროშვილის, რევოლუციონერ ნატაშა ლომთათიძის, მწერალ მარიკა ბარათაშვილის, მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის, ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის, მქსოველ ციალა კვირკაშვილის და სხვათა სახელები, რომელთაც თავიანთი თავდადებული და მუყაითი შრომით მოიპოვეს სახელი და დიდება. 383 ქალი სოციალისტური შრომის გმირი, 25.949 სხვადასხვა ორდენის და მედლის კავალერი — ეს ხომ მართლაც საქართველოს ქალთა ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცელია.

დიდების შარავანდედითაა მოსილი ქალის, როგორც დედის სახელი. რესპუბლიკაში 1.789 ქალს, რომელთაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი, მინიჭებული აქვს გმირი დედის საპატიო წოდება, ხოლო 170.067. დაჯილდოებულია დედობის სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით. პარტია და მთავრობა ყოველმხრივ ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველგვარი პირობები შეუქმნან დედებს.

ამჟამად, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ემზადება აღნიშნოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი, ჩვენი ქვეყანა წარმატებით ავითარებს მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, მეცნიერებასა და კულტურას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ ქალები. ეჭვი არ არის, რომ მომავალშიც ჩვენი ქალები თავდადებული შრომით არა ერთ გმირულ ფურცელს ჩასწერენ ჩვენი სამშობლოს დიდ მატიანეში და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ დიდი რუსთაველის სიტყვებს „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ვაზის საგალობელი

ზოგს უცხოდ წასულს ისევ და ისევ
მოენატრება თეთრი არყის ხე
და ლამაზ ცირცელს, გაფრენილს ცისკენ
მახლობელივით მოინაკლისებს.
ჩვენ, ოდითგანვე, იმერ-ამიერ,
ქართულმა ვაზმა გვისაბრალისა,
ის იყო ჩვენი მრავალჟამიერ
მოშავებედებულ დღის და ხვალისა.
როგორც დროჟამის ნესტით კედელი
მზით და სიმწვანით ხარბად ივსები,
ძვალმაგარი და შეუდრეკელი,
დგახარ ჩუმი და დარბაისელი.
შენი შემყურე ცხადლივ ვთენდები,
შენი ფესვების იმედს ვიგულებ,
სავსე ღვინითა და თაფლის მტევნებით,
ვიგალობებ და ვიმედიდურებ!
ძველთაძველ ტკივილს დაჭდეულს ოდით
შენგან მოწვდილი თასით ვიამებთ,
და ჩვენს თვისტომებს სისხლით და მოდგმით
გეძახით ძმებს და თავისიანებს.
არ გითხოვია მოსეულ მტრისთვის
პატიება და შეღავათები,
მეომარივით ბრძოლით და სიმწრით
გამოგიგლეჯია ეგ აღმართები.
თქვენ შეგიტყვიათ, სიცოცხლის მადლი,
რადგან მრავალი კაფეთ სიავე,
ქართლის ომები, ნანახი ცხადლივ
ახლაც სიზმრებში გაფეთიანებთ.
შენ ურდოების ველურ ხარხარსაც
მამებთან ერთად ინაწილებდი,
მომხდურს სჯაბნიდი, მარად ხასხასა
უბერებელი სიყმაწვილეთი.
გკაფეს და კრიფეთ სიცოცხლე მისხლივ,
ისევ აზვირთდა ვაზში წიაღი,
ისევ ჩაუდგათ ძარღვებში სისხლი
ბუდეშურ მტევნებს, აჭრილს წინადღით.
ქართლში არცერთი ქართველი კაცი
თქვენთვის სიცოცხლეს არ დაინანებს,
ლაზის ხმალივით, ბრძოლაში გაცვდი,
მსარში გვედექი აღამიანებს.
ზოგს უყვარს არყი, სურო თუ ძეწნა,
ზოგს ტირიფებით სავსე ტაფობი,
მე არ ვიქნები არცროდის ქვეყნად
ქართული ვაზის ძუძუს დამთმობი.
დაე, ყველანი შეტრფოდნენ ცირცელს,
ენატრებოდეთ თეთრი არყის ხე,
მე ვაზის ლერწებს აპყრობილს ცისკენ
სახლიკაცივით მოვინაკლისებ!

მედეა კახიძე.

დიდი წარმატება

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტებზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ როცა ხედავ ცეკვის ამ შესანიშნავ ოსტატებს — ოქროთი მოსირმულ შავ ჩოხებში გამოწყობილ ვაჟებს, რომლებიც არწივივით ფრენენ და დემონივით იბრძვიან, და ქალებს, რომლებიც მართლაც ჯადოსნური გრაციით დაგოგმანებენ სცენაზე, — უველაზე ლამაზი და მგზნებარე სიტყვები ადვილად იწერება. ამასთანავე ძნელია მათ შესახებ წერა, რადგანაც იცი, რომ მათ მთელი მსოფლიოს პრესა ხოტბა-დიდებას ასხამს, მათი შემოქმედება, საყოველთაოდ აღიარეს და მაღალი შეფასება მისცეს.

— ქართველ მოცეკვავეთა ახალმა ჩამოსვლამ, როგორც ყოველთვის მეტად დაიინტერესა მოსკოვის მცხოვრებნი და სტუმრები, — უთხრა ჩვენი გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს კრემლის ყრილობათა სასახლის დირექტორმა პ. ფ. აბოლიმოვმა. — ქართველ მსახიობებს დიდი ხანია თავიანთი მუდმივი მაყურებელი ჰყავთ. იმ ფაქტმა კი, რომ ანსამბლმა ახლანდელი გასტროლები დედაქალაქში თავის 20 წლის მუშაობის შემოქმედებითს ანგარიშს დაუკავშირა, ქართველ მოცეკვავეთა უამრავი თაყვანისმცემლის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

თბილისელმა სტუმრებმა კრემლის ყრილობათა სასახლეში ხუთი კონცერტი გამართეს. შემდეგ კი ისინი მოსკოვის ოლქის მცხოვრებთ შეხვდნენ.

დარბაზი მჭუხარე ტაშით შეხვდა ტემპერამენტიან ცეკვას ხორუმს, რომელიც მოსკოვში ახალი რედაქციით გვიჩვენეს, ხალხურ-სპორტულ ცეკვა-თამაშს ხევსურულ სიუიტას და „გაცოცხლებულ ფრესკას“ სამაიას, რომელიც შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. კირვალიძემ და სოლისტებმა ს. იაშვილმა, გ. ნიჟარაძემ. მოსკოველებს მოეწონათ ანსამბლის ახალი ცეკვა „ანანურული კლასიკური“.

სტუმრების წარმატებას უდაოა, ბრწყინვალე ქორეოგრაფებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტებს ნ. რამიშვილს და ი. სუხიშვილს უნდა ვუმადლოდეთ. ისინი ხომ ცეკვის მშვენიერ ენაზე გადმოგვცემენ რომანტიკულ ქართულ ლეგენდებსა და თქმულებებს, მოგვითხრობენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს.

მოსკოველებს შემოქმედებითი ანგარიშის — კონცერტის მთელი პროგრამა მოეწონათ. მართალია, საქართველოს ანსამბლის მუდმივ მაყურებლებს უნდოდათ მეტი ახალი ნომერი ენახათ, მაგრამ შეუძლიათ თავი იმით ინუგეშონ, რომ გაზაფხულზე მოსკოვში კვლავ შეხვდებიან საყვარელ კოლექტივს, რომელიც გვპირდება, რომ ამჯერად საიუბილეო პროგრამას ჩამოგვიტანს.

თელავი ცხაკაია





ლამაზდება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი — თელავი. წლითიწლობით ფართოვდება მისი კეთილმოწყობის სამუშაოები. დამთავრდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციის სამუშაოები, აშენდა ათობით საცხოვრებელი სახლი.

სურათზე: მარცხნივ — ქალაქი თელავი, გიორგი სააკაძის მოედანი.

კარგი საჩუქარი მიიღეს ქალაქ ცხაკაიას მშრომელებმა. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფართოეკრანიანი კინოთეატრი „რუსთაველი". იგი 550 მაყურებელს იტევს. კინოთეატრის არქიტექტურა გამოირჩევა სისადავითა და ეროვნული სტილით.

სურათზე: მარჯვნივ — ფართოეკრანიანი კინოთეატრი ქალაქ ცხაკაიაში.

მუშაობენ მეცნიერები

„სამშობლოს სმის" მკითხველებს ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი გ. ვ. წერეთელი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტები მუშაობდნენ 40 პრობლემაზე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეკონომიკისა და სამართლის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, თუ რა მონაწილეობა მიიღო განყოფილებამ შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის დღესასწაულში, რომელიც საყოველთაო სახალხო ზეიმად იქცა. გამოცემულია მრავალი მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფია დიდი პოეტისა და მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. მეცნიერებმა მოამზადეს პოემის ტექსტები არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს ბევრ ენაზე. პირველად ითარგმნა პოემის ნაწყვეტები სპარსულ ენაზე.

ოქტომბრის 50 წლისთავისათვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა მოამზადა კრებული „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთის ქვეყნებში". წიგნში გაშუქებულია, თუ რა გავლენა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციური შეგნების გამოღვიძებაზე. ამასთან ერთად აღმოსავლეთმცოდნეები მუშაობენ ახლო და შუა აღმოსავლეთის თანამედროვე და ძველი ენების სტრუქტურის პრობლემებზე.

ფილოსოფიის ინსტიტუტმა საინტერესო კვლევა განახორციელა ფილოსოფიის ანთროპოლოგიის დარგში. მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს ფილოსოფიური იდეები, რომლებიც წინ უძღოდა თანამედროვე ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, გამოავლინეს სხვაობა ადამიანის ფილოსოფიურ და სპეციალურ-მეცნიერულ შეხედულებებს შორის და სხვ.

ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში იყო სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პრობლემები. სოციალისტური ეკონომიკის კომუნისტურად გარდაქმნა, საქართველოს საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საკითხები. ინსტიტუტი სწავლობდა აგრეთვე ფასების წარმოქმნის მეცნიერულ საფუძვლებსა და სახალხო მეურნეობაში მათი პრაქტიკულად დანერგვის საკითხებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დიდი მუშაობა წარმოებს მრავალტომიან „საქართველოს ისტორიაზე".

ინტენსიურად წარმოებდა რესპუბლიკის ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა. გვინდა აღვნიშნოთ შედეგები, რომლებიც ზოგიერთმა საველე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოიპოვა. მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს თეთრიწყაროს რაიონის დიდი ყორღანის გათხრას, რომელშიც აღმოჩენილია ხის სამარხი ნაგებობანი, რასაც მეცნიერები ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულს მიაკუთვნებენ. საინტერესოა ჭართველი არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ქალაქის კარიბჭე და სხვა ანტიკური ეპოქის შესანიშნავი ნაგებობანი ვანში.

ოსური საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბების საკითხებს სწავლობენ სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. სამხრეთ ოსეთის მეცნიერებმა გამოიკვლიეს ოსური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის ცომაკ გაჯიევის შემოქმედება. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში დიდი საარქივო მასალის გადამუშავების საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს საბჭოთა ქალაქთმშენებლობის განვითარების ტენდენციები და ეტაპები.

ე. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი განაგრძობს განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის კვლევას. ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის უნიფიკაციის დარგში დიდი მუშაობა განახორციელა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. ნაყოფიერად მუშაობდა კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი.

საქართველოს სურნელოვანი პლანტაციები

მუშაობა დაიწყო ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციებში. მიწათმოქმედნი განსაკუთრებით ზრუნავენ კაზანლიკური ვარდისათვის. ჩატარდა ვარდის ბუჩქების სხვლა, მწკრივთაშორისების დამუშავება, მინერალური სასუქების შეტანა.

აპრილის პირველ რიცხვებში დაიწყება ნემსიწვერის ჩითილის ღია გრუნტში გადარგვა. ქარხანა — საბჭოთა მეურნეობების სათბურებში უკვე გამოყვანილია 16 მილიონი ჩითილი.

წამყვან ეთერზეთოვან კულტურებს მიეკუთვნება რეჰანიც. წლევანდელ სეზონში ეთერის ზეთის ქარხნები გადაამუშავებენ 1.800 ტონა რეჰანს. ჯერჯერობით სათბურებში გამოჰყავთ რვა მილიონამდე რეჰანის ჩითილი.

საქართველოში მოჰყავთ აგრეთვე პაჩული, ჟასმინი, ლავანდი, სულ 13 დასახელების ეთერზეთოვანი კულტურა. პირველად წლევანდელ სეზონში დიდი ნაკვეთები გამოიყოფა თელავისა და კოლხეთის ეთერის ზეთის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობებში ლავანდისა და ალოესათვის. სულ კი ეთერზეთოვანი კულტურების ფართობი დიდდება 220 ჰექტარით, ცხრა სპეციალიზებული ქარხანა-საბჭოთა მეურნეობა სეზონის მანძილზე გადაამუშავებს 6.150 ტონა ეთერზეთოვან ნედლეულს — ათასი ტონით მეტს, ვიდრე შარშან.

მრავალი საკითხი უნდა გადაწყვიტონ საქართველოს მცენარეული და ცხიმეთერზეთის ტრესტის სისტემის მუშაკებმა, რადგან მათ 1968 წელს უნდა მიიღონ სტუმრები — ეთერზეთოვანი კულტურების სპეციალისტთა IV მსოფლიო კონგრესის მონაწილენი.

შემთხვევითი რადია, რომ მორიგი საერთაშორისო კონგრესი იმართება საქართველოს დედაქალაქში. რესპუბლიკამ ეს დაიმსახურა არა მარტო იმით, რომ საპარფიუმერიო, ფარმაცევტულ და კვების მრეწველობას აძლევს დიდძალ ეთერის ზეთს, იგი ერთადერთი რესპუბლიკაა, რომელიც აწარმოებს პაჩულისა და ჟასმინის ზეთებს. ჩვენში შექმნილია განვითარებული ეთერის ზეთის მრეწველობა, არიან კვალიფიციური კადრები. ეთერის ზეთის მრეწველობის მუშაკთა დიდი ღირსებაა ის, რომ სწორედ აქ პირველად მსოფლიო პრაქტიკაში შეიქმნა უწყვეტი მოქმედების გამოსახდელი აპარატები, რომლებიც ამუშავებენ ეთერის ზეთის ნედლეულს. ეს აპარატები მოსახერხებელია საექსპლოატაციოდ, ყველა სამუშაო პროცესის მექანიზაციის საშუალებას იძლევიან და 25 პროცენტით ადიდებენ ზეთის გამოსავლიანობას.

ახლა მხოლოდ მარნეულის ეთერის ზეთის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობაა აღჭურვილი უწყვეტი მოქმედების გამოსახდელი აპარატებით. მოწინავე ტექნიკის დანერგვასთან დაკავშირებით წარმოებს ლაგოდეხის, ყვარლისა და თელავის ეთერის ზეთის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობების რეკონსტრუქცია.

დაცულია უნივერსიტეტში

გასულ 1966 წელს კვლევით მუშაობას რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფართო გაქანება მიეცა. კერძოდ, ეს გამოიხატა დაცული დისერტაციების რიცხვის ზრდით. თუ, მაგალითად, 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვეს 117 დისერტაცია, 1966 წელს ამ რიცხვმა უკვე 166 მიაღწია. მათგან 36 წარდგენილია მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

საექსპორტოდ...

ბათუმი. ბათუმის გემთსაშენებელმა ქარხანამ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ფირმას გაუგზავნა „ვოლგის“ ტიპის ოთხი წყალქვეშაფრთიანი სასეირნო კატარღა.

წელს ბათუმის საწარმოები საექსპორტოდ დაამზადებენ წყალქვეშაფრთიან სასეირნო კატარღებს, ელექტროკარებს, საკონსერვო და ღვინის მრეწველობის მანქანებსა და აგრეგატებს, ლაბორატორიულ ავტოტრანსფორმატორებს, სამედიცინო პრეპარატებს.

შემთხვევითი როდია, რომ დიდი მოთხოვნაა ბათუმის სამრეწველო პროდუქციაზე. ბოლო წლებში კატარღებმა, სამედიცინო პრეპარატებმა მიაღწიეს მსოფლიო საუკეთესო ნიმუშების დონეს.

ყაზბეგიდან მყინვარწვერზე საბაგირო გზით

სოფელ ყაზბეგში, რომელიც გადაშლილია თოვლიანი მთების ძირას, თავს იყრის ყველა ტურისტული გზა. ზოგჯერ ძალიან გინდა მწვერვალზე ახვიდე, მაგრამ ყველა ალპინისტი ხომ არ არის. ეს არაფერია. მალე ყაზბეგიდან მყინვარწვერზე შეიძლება მოხვდეთ საბაგირო გზით, რომელსაც სოფელში უკვე ჩაუყარეს საძირკველი.

საბაგირო გზის სიგრძე 3,5 კილომეტრი იქნება და 15 წუთში აგიყვანთ მწვერვალზე. ათადგილიანი პატარა ვაგონები საათში ორმოცამდე მგზავრს გადაიყვანენ.

ახალი საბაგირო გზის პროექტი შეასრულეს საქართველოს შახტმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტში, ხოლო მას განახორციელებენ ამიერკავკასიის ლიფტების სამონტაჟო სამმართველოს სპეციალისტები.

ვარაუდობენ, რომ მომავალ წელს საბაგირო გზა გადაიყვანს პირველ მგზავრებს.

•

საბჭოთა ხევსური

№ 5, მარტი, 1967 წ.

იკვლევს აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი

„ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების შესწავლა სტუდენტობიდანვე ჩემი მთავარი ამოცანა იყო. წლითიწლობით ამ დარგში ჩემი გამოკვლევების სფერო ფართოვდებოდა. მოძრაობის ზურგტვინის კოორდინაციის შესწავლიდან თანდათანობით გადავდიოდი ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების სულ უფრო რთულ ფორმებზე — რეფლექსებიდან მეხსიერებამდე“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ქართველ ფიზიოლოგთა სკოლის ფუძემდებელს, სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს **ი. ს. ბერიტაშვილს**, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი მოახმარა მეცნიერების სამსახურს.

გზა დიდი მეცნიერებისაკენ

ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილმა მეცნიერული მოღვაწეობა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო ცნობილი ფიზიოლოგის ნ. ე. ვედენსკის ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა დაიწყო იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენს სტრიქნინი თანამიმდევრულად იწვევს ბაყაყის ხან ერთი ჯუთის შეკუმშვასა და ხან მეორე ჯუთის გაჭიმვას. სტრიქნინი ზრდის ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებადობას და დიდი დოზებით კი კრუნჩხვას იწვევს. ახალგაზრდა მკვლევარმა, რომელიც წამალავდა ზურგის ტვინის გარკვეულ უბნებს (სეგმენტებს), ასეთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანა: აპარატი, რომელიც ჯუთების რთულ მუშაობას აწესრიგებს თავის ტვინის გარკვეულ სეგმენტშია. მაშასადამე, სტრიქნინი ზურგის ტვინზე უშუალო ზემოქმედების დროს აძლიერებს როგორც აგზნების პროცესს, ასევე მაკოორდინირებელი აპარატების შეკავების პროცესსაც.

ამის შემდეგ ფიზიოლოგი სწავლობს ცენტრალურ კოორდინაციას, აღრიცხავს ანტაგონისტ კუნთებში ელექტრულ მოვლენებს. მეცნიერმა დაამტკიცა, რომ შეკავება და აგზნება ერთმანეთს ენაცვლებიან გარკვეული რიტმით, რაც მოწმობს იმას, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის მუშაობის ორი ძირითადი პროცესი ერთი ბუნებისაა. ამ აღმოჩენით ი. ბერიტაშვილმა, როგორც აკადემიკოსმა ა. უხტომსკი აღნიშნავს, „სახელი დაიმკვიდრა ფიზიოლოგიის ისტორიაში“.

ტვინის ქცევა და მექანიზმი

ნერვულ-კუნთოვან ფიზიოლოგიაში შექმნილი პირველი ნაშრომების შემდეგ ექსპერიმენტატორი გადადის თავის ტვინის ფიზიოლოგიის შესწავლაზე. მას აინტერესებს ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების უმაღლესი ფორმები — ცხოველებისა და ბავშვების ქცევა. რა პროცესები უდევს მათ საფუძვლად, როგორია სივრცეში ცხოველთა ორიენტაციის ფიზიოლოგიური მექანიზმი, ფსიქიურ-ნერვული მოქმედების, ემოციისა და მეხსიერების მექანიზმები?

ამ დიდმნიშვნელოვან კითხვებზე რომ პასუხი გაეცა, ბერიტაშვილი სწავლობს ცხოველებს ეგრეთ წოდებული თავისუფალი მოძრაობის მეთოდის მიხედვით. ცხოველებს აჩვევდნენ მშვიდად წოლილიყვნენ დიდი საექსპერიმენტო ოთახის გარკვეულ ადგილას. სიგხალის მიცემისთანავე ცხოველი უნდა მისულიყო საკვებურთან. ასე გამოუბუშავეს ქცევის რეაქცია ძაღლებს, კატებს, ბოცვერებს, ჭამთებსა და მტრედებს.

უკვე ამ გამოკვლევის დასაწყისში მეცნიერი წააწყდა ქცევის საინტერესო ფაქტებს, რომლებსაც მისი აზრით, პირობით-რეფლექსურს ვერ ეუწოდებთ. მან დაასკვნა, რომ ცხოველთა ქცევა არ ამოიწურება მხოლოდ რეფლექსური მექანიზმებით. ექსპერიმენტებმა დაარწმუნეს ფიზიოლოგი, რომ უმაღლესი განვითარების ხერხემლიანებს აქვთ ბადები ხატები, მაგალითად, საჭმლის ხატი გარკვეულ ვითარებაში მისი პირველი აღქმისთანავე. ასეთ ქცევას, რომელიც ხატით რეგულირდება, ფიზიოლოგმა თავდაპირველად ფსიქონერვული უწოდა, ახლა კი უბრალოდ ხატით წარმოქმნილ ქცევას უწოდებს. ბერიტაშვილის აზრით ეს ქცევა დამახასიათებელია უმაღლესი განვითარების ხერხემლიანი ცხოველებისათვის, აგრეთვე უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის. ფართო საექსპერიმენტო მასალის საფუძველზე მან დაადგინა მთელი რიგი კანონზომიერებანი, რომლებიც საფუძვლად უდევს ხატით წარმოქმნილ ფსიქონერვულ მოქმედებას.



მკვლევარმა დაასკვნა, რომ ხატით წარმოქმნილი ფსიქიკური მოქმედების ნერვული სუბსტრაქსი არის მხოლოდ ახალ ქერქში. ამასთან მხედველობითი, სმენითი და სხეობეტური განცდის სხვა შეგრძნებანი წარმოიშობა გარკვეული სახეობის ნერვული უჯრედის — ვარსკვლავთა ნეირონების აგზნებით, რომელთა საშუალებით მომდინარეობს გარე სამყაროს აღქმა. ეს ნეირონები ჩვეულებრივად ბუდებად არის განლაგებული. ასეთი გრძნობითი (სენსორული) ნეირონები ყველაზე მეტი აქვს ადამიანსა და მაიმუნს, ნაკლები — ძაღლებსა და კატებს.

როგორ ერკვევიან ცხოველები სივრცეში?

ცხოველთა ფსიქიკური მოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა სივრცეში გარკვევის უნარი. ბერიტაშვილის კვლევა მოწმობს, რომ ცხოველებში ყველა რეცეპტორს მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეუძლია შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი ორიენტაციისათვის. მაგრამ, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობის, სმენისა და ვესტიბულარულ რეცეპტორებს. თუ ეს რეცეპტორები დაზიანებულია, ცხოველი ნორმალურად ვერ გაერკვევა გარემოში. გაღიზიანებანი, რომლებსაც მოძრავი ქიდურები გადასცემენ,

არსებით მონაწილეობას არ იღებენ.

ბავშვებზე დაკვირვებამაც ასეთივე შედეგები მოიტანა. თუ 6-12 წლის ბავშვს თვალს აეუხვევთ და რამდენიმეჯერ გავატარებთ ერთი და იგივე გზით ოთახის კუთხემდე, შეძლებს დამოუკიდებლად გაიაროს თვალდახუჭულმა. ბავშვი შეიძლება გადავიყვანოთ სკამითაც. ეფექტი იგივე იქნება. ყრუმუნჯი ბავშვები ამას ვერ მოახერხებენ რამდენიმე ცდის შემდეგაც კი, თუმცა ამ დროს ისინი იღებენ დიდძალ კინესია კუნთების გაღიზიანებას. მხოლოდ მრავალი გამეორების შემდეგ უჩნდებათ მათ პირობით-მოძრაობითი რეფლექსი. ამ გზით იქმნება პირობითი ჯაჭვური რეფლექსი, რომელიც შემდეგ ავტომატურად მიმდინარეობს.

ემოციის „გული“

დაუცხრომელი შრომა დიდ ქართველ ფიზიოლოგს საშუალებას აძლევს ჩასწვდეს ტვინის უფაქიზეს პროცესებს, ამოხსნას მისი საიდუმლოებანი. მეცნიერი დაწვრილებით სწავლობს ცენტრთა შეკავების როლს სხვადასხვა რეფლექტორულ და ქცევის რეაქციებში. ბერიტაშვილმა შეძლო დაედგინა, თუ თავის ტვინის რომელ ნაწილშია ნერვული წარმონაქმნები, რომლებშიც წარმოიქმნება ემოციები — შიშისა, წყურვილის, შიშის, მრისხანების, სიამოვნებისა და სხვა სუბიექტური განცდები, აგრეთვე მათი გარკვეული გამოვლინების ობიექტური ბაზა, მაგალითად, როგორიცაა სქემლის ძებნა, თავდაცვა. ფიზიოლოგმა სპეციალური ცდებით აღმოაჩინა, რომ ემოციების ნერვული წარმონაქმნები მოთავსებულია ძველ ქერქში, რომელიც ევოლუციის პროცესში უფრო ადრე წარმოიქმნება, ვიდრე ტვინის დიდი ნახევარსფეროების ახალი ქერქი. გამოირკვა, რომ მისი ამოკვეთის შემდეგ ემოციურ —ფსიქიკური მოქმედება არსებითად არ იცვლება. სავსებით სხვებსით ხდება ცხოველი, მაგალითად, კარგავს სივრცეში ორიენტაციის, დახსომების უნარს და სხვ.

ცდები გრძელდება

— ცხოველთა ქცევის შესწავლის დროს, — თქვა ივანე ბერიტაშვილმა, — უნებურად გავეცანი ისეთ ფორმულას მოღლენებს, როგორიცაა ფსიქონერვიული მეხსიერება, ე. ი. გარე სამყაროს ხატის წარმოქმნის, შენარჩუნებისა და რეპროდუქციის პრობლემას.

მეხსიერება არა მარტო ადამიანის ინტელექტუალური განვითარების, არამედ მთელი ცხოველთა სამყაროს განვითარების საფუძველია. დავისახეთ მეხსიერების, მისი სტრუქტურის, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური საფუძვლების შესწავლის ძალიან ვრცელი პროგრამა. ამ კვლევაში ჩავაბამთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თითქმის ყველა თანამშრომელს, ავრეთვე თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებს.

უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. მოეწყო რთული ექსპერიმენტები, რომლის დროსაც გამოვიყენეთ უახლესი ელექტრონული და კინოაპარატურა არა მარტო კატებსა და ძაღლებზე, არამედ მაიმუნებზეც. სპეციალურად ამისათვის შეიქმნა პრიმატების ქცევის შემსწავლელი ახალი ლაბორატორია.

ცდები გრძელდება...

ი. ქართველიშვილი.

ლევან გოთუა •

უგზო ქარავანი

• მოთხრობა •

— ღმერთია ჩვენი მფარველი — გაეხმიანა გორგასალ, თუმც კარგად ვერ გაეგო ბატონის ნათქვამი.

— კაცად კაცმა ისე უნდა გავლო სავალი, ბოლოს არსად შეგრცხვეს, და თავიდან რომ მოგიხდეს დაწყება, ისევ ის გზა ირჩიო, ისევ ის!

განა გორგასალს არ აწუხებს გზის ამბავი?

— აგრე, ბატონო! ბოლოს ხომ შემოვბრუნდებით საქართველოსაკენ?

მოურავი კი თავისას ფიქრობდა ხმამაღლა:

— ჩემი გზა ინდოეთიდან — სტამბოლამდე გადასერილა, მაგრამ ვაითუ მისი ნამჯა და ხვავი ერთ ქართულ კალოსაც არ ეყოს სალეწად!

შეშინდა გარგასალი, მიხვდა — მას კი არ ესაუბრებოდა გიორგი საკაძე, არამედ თავის თავს. ასეთი რამ ავად ჰქონდა დაცდილი.

პირველად ლუარსაბის ქორწილზე შენიშნა თავის ბატონს ასეთი ბაასი. მეფის ქორწილზე — თავისი და რომ მიათხოვა, ალბათ, ქედმაღალი ზრახვებით უკვე ნატყარამ.

მეორედ შაჰ-აბაზთან გადახვეწის დროს. შემდგომ კახ-ბარონებულთა დალატით ამოჭლეტის ღამეს.

ოჰ, გორგასალს დაღად აზის თითო თარიღი.

კიდევ ერთხელ — თავისი შვილის — პაატას მოკვეთილი თავის მიღებისას. დაბოლოს ბაზალეთთან — ქართველთაგან დამარცხებისა და ახლა თურქეთში გადაკარგვის საშინელ დროჟამს.

ჰოი, რაოდენი უკუღმართობის უნებური მოწმე გახდა გორგასალ?!

მოწმე არა, მონაწილე! გორგასალი მოურავის ერთგულია, მაგრამ მას თავისი ჯიგარი აქვს. ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, აქ კი იგიც გიორგის დიდი საქმეების გულდაგული მონაწილე იყო.

— ბატონო! მიბრძანეთ რამე... მე მიბრძანეთ! — შეჰღაღადა შეძრწუნებულმა.

— შენ გითხრა? კარგი, ერთ სიბრძნეს გეტყვი — თუმც მე და შენ კი აღარ გამოგვადგება, მოსუცო... მსხვერპლი შინაგანად წმიდა უნდა, თუ არა, ისე ათასი ხარ-კამეჩი იკვლება სასაკლაოზე! ერთხელ უკუღმა მოქნეული ხმალი ვეღარ გამოაბრუნებს. მე მარჯვენა მიჭრიდა, გული კი გაბზარული მჭონია. რაღაც ვერ დავთმე, მომერია, ჩანს. დამძაბა. ხმლის მარჯვედ ქნევა კი რა ბედნიერია?!

ზურმამოჭრილმა საკაძემ ელვის სისწრაფით გაიძრო ხმალი, მიწას ჩასცა. იღმუვლა ფოლადმა. დარეკა. ნახევრად ჩაითხრა მშრალ ბელტში, მერმე გადაჰყვა საკაძის ფართო მაჯას და მარილივით გადატყდა.

— ისეთი ხმალი მომეცით, ზედ ქართული სისხლი არ ეცხოს! — ყრუდ მიაყოლა სიტყვა გატყორცნილ ვედას.

ჯერ დაიბნა გორგასალ, მერმე შეიხსნა თავისი ხმალი, ემთხვია და მიაწოდა.

— ნასყიდაანთ ხმალია, მაგრამ არ გაყიდულა არაოდეს!

— მერმე ბაზალეთი?!

— შემინდე, ბატონო! ხმალი არ გამიძვრია ბაზალეთთან. ქარქაშიანად ვირიდებდი მომხდურებს. აბა, დახედე! — და ქარქაშზე მრავალი ნაჭდევი აჩვენა.

წამოდგა გიორგი, მრისხანე თვალი გაუყარა. აღარც გორგასალმა დაჰხარა თავი.

საშინელმა სიბრაზემ დაუშარნა სახე მოურავს.

— შენ ჩემზე ბრძენი ყოფილხარ, მოხუცო! გამეცალე! არ დამენახო! — უკვირავ მოიხარა, შეიკუმშა, ქონდრის კაცის ოდენა გახდა. შებრუნდა. კარავში შევიდა და კალთა ჩამოიფარა.

ის იყო და ის. მეტი აღარც უნახავს გორგასალს თავისი ბატონი.

ენა ამოეგლისჯა და არაფერი ეთქვა. ფეხი მოსტეხოდა და არ წასულიყო იმ ღამეს. ბანაკში დარჩენილიყო. ახლაც მათთან იქნებოდა. თავის ბატონთან, თავის შვილთან, თვისტომებთან.

მაგრამ რა იცოდა გორგასალმა. იგი საქმისათვის ზრუნავდა. კეთილად გაისაჯა. მდევარი რომ მისდევდა, ეს კარგად იცოდა ყველამ.

მთელი ღამე არ უძინია გორგასალს. მოურავის კარვის ზღურბლზე იყო გაოინდული. თვალღია იწვა. თუმც ძილიც ფხიზელი და თვალღია იცოდა.

იმ ღამეს არვინ მიიკარა გიორგიმ. გათვლებისას გამოირკვა, რომ ორმოციოდ ცხენაქლემი აკლდათ ლტოლვილებს.

ზოგი უკვე დავარდნილიყო, ზოგიც დავარდნაზე იყო მისული. გორგასალმა ითავა საქმე. შვილი წაყვანა, ცილა-ბინდზე დაწინაურდა. აღარც თუ შორს მომთაბარე მეჯოგენი ეგულებოდა. სამარქაფო ცხენების შოვნა გადაეწყვიტა.

თავზე დაათენდათ საჯოგესთან. ორიოდ ფარხი ჩანდა ცხვრისათვის და ცხენების ქალტა-სადგომი.

ბეგლარ-ბეგის, მოურავ-ფაშის რაყამით მოვიდნენ. ორმოციოდ ცხენის შეცვლა მოსთხოვეს.

გაჯიქნენ დამხვდურნი. არ იურვეს მიცემა. არც რაყამი ირწმუნეს. სატევრების ტრიალი დასჭირდათ მამა-შვილს. ოთხი მამაკაცი შეიპყრეს, მიწურში შეამწყვდიეს დათოკილნი. ფარხებიდან გამოსცლა აუკრძალეს ქალებსაც.

ორმოცი ცხენი მოსხლიტეს რემას. გორგასალმა ბანაკისაკენ ცხენებითურთ გაასტუმრა ბეჭანი. თავად კი ორი ჭენებლა წამოაქცია, ააფეშხოვა და ქვაბ-შამფურები შეუდგა შუა ცვლისს. დაპურება ხვირთლა რაჭმეულს.

შუადღემდე მოელოდა ოტებულთ. მაღალ გასწედავდა სავალს. საამო ოხშივარი ასდიოდა ქვაბ-შამფურს.

არ გაუმართლდა იმედი, ამაოდ ელოდა გორგასალ. ჩამიჭუმი არ იყო გზაზე. შეწუხდა. ლუკმა ვერ გასტეხა, მხოლოდ უნებური ტყვეები დაიპურა.

ვეღარ სამხრობამდე ელოდა, მერმე გაათავისუფლა შემწყდეულნი, თავად კი ცხენს მოასტა და გაჭენებულა. მზის ჩასვლისას მიაღწია ნაბანაკარს. აი, ამ ხეობის დასაწყისში დასტოვა ისინი.

ბანაკი აღარსად იყო. იქნებ შეცდა, მზარი ეგულა გორგასალს? — არა აი, ჭა. აქ დაეჩრა საკაძემ თავისი მახვილი. აი, ხმლის პირიც იპოვნა.

თიხა-ქვიშიან სავალზე ნათლივ ემჩნეოდა ქარავნის ახალი კვალი. მისი გზა ოდნავ უკან ბრუნდებოდა და მერმე კალაბისკენ მიჰყვებოდა. უსიხარულო ხვე-ხრიოკს და უგზო სავალს.

გორგასალისათვის ყველაფერი გასაგები გახდა. აუჭირა ცხენს მოსართავი, აიღო საკაძის ხმლის ნატეხი და ჩორთით უკან დაედევნა წყვახილთ.

დასახლებულ ადგილებს რომ მიუახლოვდა, ეშინა რომ არ აეღოთ, ოსმალური ძოწეები გადაეცვა აბჯრის ზემოდან. ცხენიც მალე მოიშორა მუქთ ფასად. ბოლოს მიაღწია ჭალაბამდე.

კითხვა-კითხვით გამოარკვია ამბავი.

ესეც ჰალაბის ძველი დილეგი, ჩახავსებულ-ტვიფლოვანი კედლებით, ჩაჟანგებული ალაყაფით.

ერთიღა დარჩენია... მისი გზაც და ადგილიც აქ არის, დილეგში. მის ბატონთან, შვილთან, თანამებრძოლებთან ერთად! ნატყვი, ფეხი მოსტეხოდა და არ გაშორებოდა მათ.

მაგრამ, არა უშავს რა — ახლა ხომ იცის, სად არიან. მიცა, დაიკაკუნებს დილეგის კარს. ნუთუ არ გაუღებენ? არ შეუშვებენ? შეშვებას ითხოვს, გამოსვლას ხომ არა! ეტყვის, ვინ არის. რა თქმა უნდა, გურჯების ჯგუფს შეუერთებენ, მათ ბედს გაიზიარებს.

მხოლოდ ეს ეჩოთირება — თავის ფეხით, უბრძოლველად როგორ მივიდეს დილეგში?! მაგრამ რაღად უნდა ეს გახოკილი თავი და ტანი. საკაძის სმლისა არ იყოს, თავადაც ხომ რაღაც სხვა დიდი ამბის ნაშუაღამევია ჰქვია.

მიიჭრა, ალაყაფის რკინას მიუკაკუნა. ხმა არავინ გასცა.

უმატა კაკუნს. წიხლიც მიაზილა ძგიდეს. ფეხის ხმა მოისმა. შიგნიდან სათვალურში გამოიხედა ვიღაცამ.

— ვინ არის?! რას მოთრეულხარ! — შემოსწყრა თურქულად ვიღაცა.

— კარი გამიღეთ! კარი! მხოლოდ ამ მოწყალებას ვითხოვ! თავად მოვსულვარ...

— თურქულადვე შეეგებრა გორგასალი და უნებურად ჩაჭინდრა თავი. კარი მართლაც გაიღო და უცნობ ვიღაცამ მათრახი გადაუქნია გორგასალს.

— აიტ, ძაღლის შვილო! დილეგში მოსულხარ სამათხოვროდ? — შემოუკურთხა იასაულმა.

ცეცხლი მოეკიდა გორგასალს. ჯერ ვერა გაიგო რა, მერმე ძოძებზე დაიხედა და მიხვდა. მაგრამ უმალ დაავიწყდა ეს მარცხი. მთავარი ის იყო, რომ მან მათრახი იცნო, დიახ, ისევ ის ორშოლტიანი გიორგისეული მათრახი. ახლა მტრის ხელიდან მას ხვდებოდა, ალბათ, მერმე შოლტი.

— დაპარტყი! კიდევ დაპარტყი! ღირსი ვარ! სად მოვდიოდი?! სად?! — დაბნეულად ჩაფიჩფიტდა გორგასალი.

იასაულმა არ ახვეწინა, კიდევ ერთჯერ გადაუჭირა ცალი შოლტი და კარი მიიხურა.

ჯაგრამ ახლა სულ სხვამ შეაჩქარფა გორგასალი. ანაზდად დაინახა — სამი თითი აკლდა იასაულს, სწორედ მარჯვენა ხელზე. შუათითი, არათითი და ნეკი! ხმაც ეცნაურა თითქოს! სახის ნაკვთებშიაც ავონებდა ვიღაცას.

„ღმერთო, შიშველი! ვინ იყო, სეტყვ?!“ — ფიქრობდა გაოგნებული გორგასალი და შეჭყურებდა გამოკეტილ ალაყაფს.

სულ დაავიწყდა ნამათრახევის ზიზღი და სუსხი. მერმე მოაგონდა:

— ეს ხომ ჰალაბია? ალეპო, როგორც იტყოდა!

შუბლზე იტკიცა ხელი და ბაზრისკენ გაეშურა — ქრთამად ნობათის ყიდვა განიზრახა.

ჰალაბის ბაზარზე ჯარასავით ტრიალებდა ნივთი და კაცი, ხვადაგი თუ ფრინველი. ხმაურ-ყიჟინა იდგა.

ერთგან თვალში სპილოს ძვლის კრიალოსანი აეჭირა გორგასალს. ვეღარ მოსწყვიტა თვალი და ფიქრი. ნატიფი ნახილაე იყო — ორმოცდაათი ცალი თხილის ოდენა თავის ჭალა იყო აბრეშუმის ძაფზე აცმული. მზაკვრულად ენიშნა სანობათი.

სახონჯრეში შავი ღისათვის ჩაკერილი ბატონის ნაწყალობევი ოქრო ჩაუთვალა გაკვირვებულ სოვდაგარს, გზაზე ერთი დიდი საზამთროც იყიდა და უმალ დილეგთან გაჩნდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ნოვრიდან ნოვრამდე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 4.

ავტომატი ზომავს მილს

რუსთავში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მეტალურგიულ ქარხანაში, მილების ხარისხს ხელით ამოწმებდნენ: კედლების სისქის, დიამეტრის გაზომვის, აგრეთვე მილების სიგრძის ვიზუალური კონტროლის გზით.

რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის „ავტომატმრეწვის“ სამეცნიერო-საკვლევი განყოფილების ინჟინერთა ჯგუფმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა გასაგლინი მილების სიგრძის, მათი კედლების სისქისა და დიამეტრის განმსაზღვრელი სისტემა.

სისტემის პრინციპული თავისებურება ის არის, რომ მილის სიგრძე განისაზღვრება ჰილზების აწონვით ნაკადურ ხაზზე და წონის ინფორმაციის შემდგომი მათემატიკური დამუშავებით. ამ ოპერაციებს სპეციალური ასაწონი მოწყობილობა და სანგარიშო-გამოსათვლელი მანქანა აწარმოებს, რომელიც ჰილზების წონას გადაიანგარიშებს სიგრძეზე და სიგნალს იძლევა შუქ-ზან ტაბლოზე.

ამ სისტემამ გაიარა სამრეწველო გამოცდა მილსაგლინავ აგრეგატ „400“-ზე და დაინერგა წარმოებაში. სისტემის დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტი მხოლოდ ამ აგრეგატზე წინასწარი გამოანგარიშებით 55 ათას მანეთს შეადგენს წელიწადში.


პლასტმასა ვაზისაგან

ბაკელიტს — მასალას, რომლისაგანაც იზოლატორები და სხვადასხვა საოჯახო საგანი მზადდება, გამოუშნდა კონკურენტი — ვაზის პლასტმასა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკოსებმა მიიღეს პროფესორ მ. გვერდწითელის ხელმძღვანელობით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ათი ათასობით ტონა ვაზის ნასხლავი, რომელსაც ჩვეულებრივ წვავენ ხოლმე მოსავლის აღების შემდეგ.

პლასტმასის წარმოება მარტივია: ნასხლავს ფხვნიან და უმატებენ ფენოლს. შემდეგ მიღებულ ფისში ყრიან წვრილად დაფხვნილ ღვეზელს. ამ მასის გაშრობის შემდეგ მზად არის საწნეხი მასალა. მისგან დამზადებული ნაწარმი სავსებით შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს.

ვაზის ნასხლავისაგან დამზადებული პლასტმასა ჩვეულებრივზე გაცილებით იაფი ჯდება. საკმარისია ითქვას, რომ დეფიციტური ფენოლი ოცდაათი პროცენტით ნაკლები იხარჯება, ვიდრე ჩვეულებრივი ფენოლფორმალდეჰიდური ფისების მისაღებად არის საჭირო.

სანდრო ახმეტელის საიუბილეოდ



შესრულდა 80 წელი დიდი ქართველი რეჟისორის **სანდრო (ალექსანდრე) ახმეტელის** დაბადებიდან. ამ თარიღის ფართოდ აღნიშვნისათვის შექმნილია საიუბილეო კომისია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, კომპოზიტორ **ოთარ თაქთაქიშვილის** თავმჯდომარეობით.

კომისიის შემადგენლობაში არიან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები.

სანდრო ახმეტელის დიდი საიუბილეო-საზეიმო სალამო გაიმართება 13 აპრილს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. დიდი რეჟისორის საიუბილეო სალამოები ჩატარდება აგრეთვე მის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

სალამური



მწერალი და ჟურნალისტი **გიორგი კაპიაშვილი** რამდენიმე წიგნის ავტორია. იგი უმთავრესად წერს სათავგადასავლო მოთხრობებს, ნოველებსა და ნარკვევებს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ გიორგი კაპიაშვილის ერთ-ერთ მოთხრობა-სინამდვილეს — „სალამურს“, რომელიც დაწერილია ჟ. კენიგსბერგში 1945 წლის მაისში.

აღმოსავლეთ პრუსიაში მარტის გულის გამწყალებელმა განუწყვეტელმა წვიმებმა თავი მოგვაბეზრა. მაგრამ ჩვენი ჯარის ნაწილები შეუპოვრად მიიწევდნენ დასავლეთისაკენ, უკანდახეულ მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ.

მოტორიზებული ნაწილი, რომელშიც მე და ნოშრევან გამეზარდაშვილი ვიყავით, ნაშუადღევს ქალაქ ტოპიაუს მისადგომებთან, ახლად აღებულ სოფელ კლაინ გნეიში დაბანაკდა. ფრონტის სარდლობის ბრძანებით ერთი დღე უნდა შეგვესვენა, საჭიმველი წესრიგში მოგვეყვანა და კენიგსბერგზე შეტევისათვის მოვმზადებულიყავით.

რაც დრო გადიოდა, ფრონტის ხაზი თანდათან გვშორდებოდა. ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების შემზარავი გვრგვინვა და გრუხუნი კლებულობდა.

დღე მიიწურა, საქმეებს მოვრჩით და ჯარისკაცებმა სურვილი გამოვთქვით სოფელი დაგვეთვალიერებინა.

...სოფლის ცენტრში, ხეხილის ბაღში, ძველისძველი ნაგები ორსართულიანი სახლი იდგა. შევიტყეთ, რომ სახლის პატრონი, მსხვილი მემამულე, თავდარიგში გასული გენერალი ყოფილაყო, რომლის სიმდიდრეს ასობით ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ფაშისტების მიერ ტყვედ წაყვანილი საბჭოთა მოქალაქეები შეადგენდა. მემამულეს ველარ მოვუსწარით, ცოლ-შვილთან ერთად გაქცეულიყო.

ორსართულიანი სახლის დერეფანში ახლად განთავისუფლებული ქანცგამოლეული ადამიანები შეგროვილიყვნენ და მოულოდნელი სიხარულისაგან აღელვებულნი, ცრემლმორეულნი შესცქეროდნენ გამამხნევებელი ტონით მოლაპარაკე პოლიტხელ დობროვს, რომელიც მშობლიური ქვეყნისა და მისი მამაცი ადამიანების შესახებ ჰყვებოდა.

შევცქეროდი უცხოეთში ნაწამებ თანამემამულეებს და სიბრალულისაგან გული მიმძიმდებოდა, რომ ამ დროს ყურში სალამურის ტკბილი, ამაღელვებელი ჰანგი ჩამესმა.

გამიკვირდა. სალამურის ხმა ხშირად მომისმენია, მაგრამ ამ ტკბილი და სულში ჩამწვდომი არასოდეს არ მჭვენებია. არც მაშინ, როცა ძია ნიკა ივრის პირას, პაპანაქება სიცხეში, ფშატის ხეების ძირას თავის სალამურს აკვნესებდა და სიამით დასცქეროდა ცხვრის ფარას.

— გიორგი, — მუჭლუგუნი წამკრა ნოშრევანმა, — გესმის, ბიჭო, სალამურის ხმა? არ ვიცი ვინ არის, ჩემზე გაცილებით უკეთესად კი უკრავს, — სალამური ჩექმის ყელიდან ამოიძრო, ზედ მოსალტული თეთრი თუხუჩი შეასწორა და ტუჩებისაკენ წაიღო.

— ნოშრევან! — გაკვირვებული ვუთხარი, — მე შენ მეგონე, ვიფიქრე, ამ სურათთა, — დერეფანში ხალხისაკენ გავიხედე, — ჩემსავით თუ აუჩქროლა გული და მამისეულ სალამურს ჩაჰბერა-მეთქი.

...ორივენი ხმაამოუღებლივ მივაბიჯებდით იქით, საიდანაც სალამურის ხმა გვესმოდა. მივდიოდი და ვფიქრობდი: რა ბედნიერი იქნებოდა დავით გურამიშვილი, რომ მასაც ასე მოესმინა მშობლიური მელოდია, გული გაჰხარებოდა აღმოსავლეთ პრუსიაში ტყვედ ყოფნის დროს.

სალამურის ხმამ გზის პირას, პატარა ხის სახლთან მიგვიყვანა. ნოშრევანმა სალამურს ჩაჰბერა იმავე ჰანგზე. ორი სალამურის ხმა, როგორც თავისუფლებისა და რაღაც უზომო სიხარულის ჰიმნი ისე შეერთდა.

...სწრაფად შეწყდა პირველი ხმა და ოთახიდან ბეჭებში მოხრილმა, თმაშეერცხლილმა მოხუცმა გამოიხედა. იგი ხარბად მოგვჩერებოდა დანაოჭებულ, ფერმკრთალ სახეზე აკიაფებული თვალებით.

მე და ნოშრევანმა რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით. ის კი ისევ უძრავად იდგა კარის დირეზე და თავის გამუდმებული კანტურით მოგვჩერებოდა.

— ძია კაცო, — თავაზიანად მივმართე, — სალამურს თქვენ უკრავდით? ისე მოგვჯადოვა მისმა ტკბილმა ხმამ, რომ თქვენი თავი მოგვაძებნინა.

მოხუცებული ჯოხზე დაყრდნობილი, სალამურით ხელში, აცახცახებული გამოემართა ჩვენსკენ, მოგვიახლოვდა, დაბეჯითებით გვაკვირდებოდა, მერე ორივეს მოგვეხვია, დაგვიკოცნა გულმკერდი, წასკდა ტირილი და დიდხანს ქვითინებდა.

მოხუცი ოთახში შევიყვანეთ და დავამშვიდეთ.

— ოოო, შვილებო! — ათრთოლებული ხმით წარმოთქვა მოხუცმა, — რომ იცოდეთ, რა უბედური დავბადებულვარ ამ ქვეყანაზე, მაგრამ მაინც ბედნიერება მეწერა თურმე სიბერის ჟამს და ამითაც კმაყოფილი ვარ.

— ძია, — მოკრძალებით შეეკითხა ნოშრევანი, — თქვენ ვინა ხართ ან საიდან?

— მე ვინა ვარ? — თქვა მან ჩიფჩიფით, — თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ქართველი ვარ!

— ქართველი?! — ორივემ ერთად წამოვიძახეთ და განცვიფრებული მივაჩერდით ერთმანეთს.

— დიახ, ბედკრული ქართველი, — ქართულადვე მოგვიგო.

— საიდან, როგორ მოხვდი ასეთი მოხუცი აქ? — დაბალი ხმით ვკითხე.

— ეე, იმ დღის გახსენება, — წამოიწყო მოხუცმა, — თავბრუს მახვევს, ბოლმა მახრჩობს. რუსეთ-გერმანიის ომის დროს მძიმედ დავიჭერი. გერმანელებმა ტყვედ ჩამიგდეს ხელში და აი უკვე ოცდაშვიდე წელია სამშობლოდან მოშორებული ნამდვილ მონად ვიყავი ამ მამულის მფლობელთან. მიუხედავად მრავალი ცდისა, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავი, არაფერი გამოვიდა, დამემუქრნენ კიდეც, თუ ხმას არ ჩავიკმენდ, თუ ოდესმე კიდევ მოგითხოვია საქართველოში წასვლა — სიკვდილით დაგსჯითო. რაღა უნდა მეღონა მე ბედკრულს, ჩემი ნუგეში მხოლოდ ეს სალამური იყო, ამას ჩავბერავდი, ავკვნესებდი ხოლმე და ამით ვიჭარვებდი ფიქრს საქართველოზე, ცოლ-შვილზე.

— საქართველოში ვინა გყავთ, მოხუცო, — შეეკითხა ნოშრევანი.

— ვინა მყავს? — ნაღვლიანად თქვა მოხუცმა, — დედაჩემი რაღა საკითხავია. ის უბედური ალბათ ცოცხალი აღარ არის. მეუღლე და შვილი, სამი თვის ბიჭი დავტოვე. ახლა ის უკვე ოცდათერთმეტი წლისა იქნება, — უბიდან სურათი ამოიღო და გამომიწოდა, — აი ხედავ, ჩემო კარგო. ეს მე ვარ, ეს ჩემი მეუღლე, ეს კი ჩემი ვაჟიშვილი, წამოსვლის წინ გადავიღეთ. ვაი, ჩემო უბედურო თავო, ისე მაინც არ მოვკვდე, რომ ჩემი ცოლ-შვილი ვერ ვნახო.

მოხუცს ქვითინი აუვარდა. სურათი ნოშრევანს გავუწოდე და მე მის დამშვიდებას შევუდექი.

...დახედა თუ არა ნოშრევანმა სურათს, წამოიყვირა:

— გიორგი! ხედავ ამ სურათს? — მომაჩეჩა ხელში და ჯიბიდან თავისი სურათი ამოიღო, — შეადარე, ეს ხომ ერთი და იგივეა, — ნახევრადხელგაშლილი, სახეალანძული შეეკითხა მოხუცს:

— გთხოვთ მითხრათ, თქვენ რა გქვიათ?

— გოდერძი მქვია, ჩემო კარგო!

— გოდერძი?! მამა!

ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები

ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ისტორიული გზა განვლო და საკაცობრიო კულტურის საგანძურში საგრძნობი წვლილი შეიტანა. ჩვენი წინაპრები სხვებს არც გეოგრაფიულ აზროვნებაში ჩამორჩებოდნენ. ძველ საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერება თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. ჩვენთან, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ადგილის შესწავლა ეკისრებოდა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ევალებოდა მიმდებარე ქვეყნების შესახებ ცნობების შეკრება. ადგილისმცოდნეთა და ადგილისაღმწერთა მთავარი ამოცანა იყო თავისი და მოსაზღვრე ქვეყნების ცოდნა.

ამათ გარდა, ფართო გეოგრაფიული განათლება ჰქონდათ გამყოლებს, ელჩებს, მზვერავებს, ვაჭრებს, ზღვაოსნებს, განსაკუთრებით კი სამხედრო პირებს. ადგილობრივი პირობებისა და მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიას საკმაოდ კარგად იცნობდნენ შიკრიკები და მალემსრბოლები.

ქართული გეოგრაფიული აზროვნების საწყისებად უნდა მივიჩნიოთ ადრეული პერიოდი. ცნობილია, რომ ძველთაგანვე საუკეთესო ზღვაოსნებს — კოლხებს შავი ზღვის სანაპიროებით ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ შორეულ ქვეყნებთან, რომთან, სკვითებთან. კოლხები რომ საუკეთესო მეზღვაურები ყოფილან და ფართო გეოგრაფიული ჰორიზონტი ჰქონდათ, ამას ადასტურებენ ძველი ბერძენი მწერლები. მაგალითად, ავითია სქოლასტიკოსი წერს: „კოლხები ადგილის საუკეთესო მცოდნენი არიან და კარგადაც ერკვევიან გარემოში.


ძველ საქართველოში არსებობდა უმაღლესი განათლების რამდენიმე ცენტრი: მე-4 საუკუნეში კოლხეთში, თანამედროვე ფოთის მახლობლად — რიტორიკის უმაღლესი სკოლა, უფრო გვიან კი აკადემიები გელათსა და იყალთოში, სადაც მეცნიერების სხვა მრავალ დარგთან ერთად გეოგრაფიასაც ასწავლიდნენ. საერთოდ, რუსთაველის ეპოქის საქართველოში გეოგრაფიული ცოდნა დიდ სიმაღლეზე იდგა. ფართო გეოგრაფიული განათლება ჰქონდათ „თამარიანის“ ავტორს ჩახრუხაძეს — ცნობილი მკვლევარის პ. ინგოროყვას აზრით „პოეტ-მოგზაურს“. ქართული პოეზიის ვენერას შოთა რუსთაველსა და სხვებს.

მე-11 საუკუნის ქამთაალმწერლის ცნობით ვიგებთ, რომ ქართველები უკვე მე-12—მე-13 საუკუნეებში იცნობდნენ ჩრდილოეთ რუსეთსაც.

საინტერესო მოგზაურობად უნდა ჩაითვალოს ულუ დავითისა და დავით ნარინის გამგზავრება მონღოლთა ურდოში. ქართველი უფლისწულების ყარაყორუმში ყოფნას გვაცნობს რომის პაპის ინოკენტი მეოთხის ელჩი პლანო კარპინი. შორეულ მონღოლეთში, კერძოდ, ყარაყორუმში მოგზაურობამ დიდად შეუწყო ხელი ქართველთა გეოგრაფიული ჰორიზონტის გაფართოებას.

მე-17—მე-18 საუკუნეებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში მოგზაურობით ცნობილია შესანიშნავი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი, გამოჩენილი ლექსიკოგრაფი, მწერალი, მთარგმნელი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი. 1714 წელს იგი ვახტანგ მეექვსის დავალებით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა, ეწვია პარიზს, რომს, ევროპის სხვა მრავალ ქალაქს, შემდგომში კი ეს მოგზაურობა აღწერა თავის შესანიშნავ ნაშრომში. ევროპის გარდა, საბა სპარსეთშიც იყო, ბოლოს კი ვახტანგს გაჰყვა რუსეთში, სადაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღენი გაატარა. სულხან-საბა ორბელიანის მთავარი ნაშრომი — „სიტყვის კონა“ გეოგრაფიული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, იგი ცოდნის ნამდვილი ენციკლოპედიაა და, შეიძლება ითქვას, თავისებური გეოგრაფიული ლექსიკონიც არის.

ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვახტანგ მეექვსეს. მისი ინიციატივით ქართლის ტერიტორიაზე მოეწყო ტოპოგრაფიული აგეგმვა, რომელიც შემდეგ გამოიყენა ვახუშტიმ თავისი რუკების შესადგენად. ვახტანგ მეექვსე თვითონაც ადგენდა რუკებს. მის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს „სწავლულ კაცთა კომისიის“ შექმნა, რომელიც გაეცნო საქართველოს მეზობელ ხალხთა ისტორია-გეოგრაფიას, გეოგრაფიული ხასიათის საბუთებს, ძეგლებს და ბევრი გააკეთა ისტორიული კრებულის „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირებისათვის, დაწერა ავრეთვე მისი გაგრძელება, რომელიც არა ერთ საინტერესო გეოგრაფიულ ცნობას შეიცავს.



1960 წელს თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. კალანდაძემ შრომის გაკვეთილებზე პირველად აჩვენა ბავშვებს ხის მხატვრული დამუშავების მეთოდები. გავიდა ხანი და კალანდაძის აღსაზრდელების ნამუშევრები გამოჩნდნენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა **თეიმურაზ ძიგრაშვილმა**. იგი დაჯილდოებულია **1963** წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ ბავშვთა ნამუშევრების საერთაშორისო გამოფენისა და გასულ წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ ბავშვთა შემოქმედებით გამოფენის სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით. თეიმურაზის მრავალი ნამუშევარი რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე აღინიშნა დიპლომებით და სიგელებით.

თეიმურაზის მამა არქიტექტორია. ერთხელ, როდესაც იგი გეოლოგიურ ექსპედიციაში მიდიოდა, თავისი შვილი თან გაიყოლა. თეიმურაზმა პირველად მაშინ მიაქცია ყურადღება ღვიის უცნაურად გადახლართულ ტოტებს. მან რამდენიმე ტოტი მოჭრა და სახლში წამოიღო. დაიწყო გულმოდგინე მუშაობა. შედეგებმაც არ დააყოვნეს. რა უჩვეულო, საოცარი სილამაზის ნაკეთობები შექმნა თეიმურაზმა ამ, ერთი შეხედვით უფერული, დაგრეხილი ტოტებისაგან.

ახლა კი მამას ყოველი ექსპედიციიდან ჩამოაქვს ღვიის ტოტები. შვილის გატაცება მამასაც გადაედო, ხშირად ისინი ერთად მუშაობენ: აპრიალებენ, სჭრიან, ხეხავენ, თლიან ტოტებს, სანამ წითელ ფერამდე არ მიაღწევენ. ფიგურები ორი ფერის გამოდის.

სურათებზე: თეიმურაზ ძიგრაშვილი (ზემოთ, მარჯვნიდან მეორე) ხის მხატვრული დამუშავების სასკოლო კაბინეტში; მამა და შვილი ძიგრაშვილები ღვიის ტოტებიდან ქმნიან უნიკალურ ფიგურებს; მარცხნივ — თეიმურაზის ნამუშევრების ნატურმორტი.

ფოტო **ბ. დადვაძისა.**





დაგეძებენ, მოგელიან

კაკაურიძეს პავლე მელიტონის-ძეს, დაბადებულს 1909 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. პირველ სვირში, ეძებს მეუღლე — ოლია სიმონის ასული კაკაურიძე.

ლაფაჩს ვანო სიმონის-ძეს, დაბადებულს 1921 წელს გორის რაიონის სოფ. დიცში, ეძებს და — ელენე სიმონის ასული ლაფაჩი-მძინარაშვილი.

ნანოგაშვილს გეგლარ მიხეილის-ძეს, დაბადებულს ვანის რაიონის სოფ. ზედა მუქეთში, ეძებენ მეუღლე — თეო ერმილეს ასული და შვილი—მაგული გეგლარის ასული ნანოგაშვილები.

ღვინაძეს გრიგოლ (გიგო) ლევანის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს კასპის რაიონის სოფელ კოდისწყაროში, ეძებენ მშობლები — ლევან გიგოს-ძე ღვინაძე და ანეტა ალექსანდრეს ასული დავითაშვილი.

შავდიას ოთარ გრიგოლის-ძეს, დაბადებულს 1920 წელს ქ. თბილისში, ეძებენ დედა — სალომე შავდია, და — ეთერ შავდია.

ალავერდაშვილს ივანე (გიჰიკო) ნიკოლოზის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ გოდგისხევში, ეძებენ დედა — თამარ ხარიტონის ასული და მამა — ნიკოლოზ (ნიკიტა) ივანეს-ძე ალავერდაშვილები.

სეხნიაშვილს ზაქრო გიორგის-ძეს, დაბადებულს 1920 წელს წითელწყაროს რაიონის სოფელ არგოშიკში. ეძებს დედა — საშა ვანოს ასული სეხნიაშვილი.

ჯამასპიშვილს სტეფანე ვანოს-ძეს, დაბადებულს 1961 წელს, ეძებს ძმა — ეგნატე ვანოს-ძე ჯამასპიშვილი.

გორგიას მიხეილ ნესტორის-ძეს, დაბადებულს 1895 წელს ქ. ფოთში, ეძებს და — გორგია ქსენია ნესტორის ასული.

მჭედლიშვილს რამან ნიკას-ძეს, დაბადებულს 1920 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ზემომაღაროში, ეძებენ დედა — ნატო, და-ძმა — ავთანდილ და ქეთო მჭედლიშვილები.

ცქვიტინიძეს დიმიტრი (ჭოლა) ვლადიმერის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს მანარაძის რაიონის სოფელ ბანჯში, ეძებს და — ვალია ვლადიმერის ასული ცქვიტინიძე.

კილაძეს აფრასიონ ალექსის-ძეს, დაბადებულს 1921 წელს, ეძებენ დედა — ალათი ფილიპეს ასული ჩხარტიშვილი-კილაძე და მამა — ალექსი ივანეს-ძე კილაძე.

ძმებს **ალანიებს ნიკოლოზ** და **ვიქტორ ბეგლარის-ძეს,** დაბადებულებს 1920 წელს და 1907 წელს ხოგბის რაიონის სოფ. შუა გვალიოწში, ეძებენ დები—ტატიანა და აგრაფინა ბეგლარის ასული ალანიები.

ვეფხვაძეს ირაკლი ვიქტორის-ძეს, დაბადებულს 1921 წელს ხაშურში, ეძებენ დედა — ვეფხვაძე მარიამ (თამარი) და მამა — ბიქტორ ბიზიას-ძე ვეფხვაძეები.

შუბითიძეს არჩილ სიმონის-ძეს, დაბადებულს 1914 წელს ხაშურის რაიონის სოფელ ალში, ეძებს მეუღლე — ევგენია ქრისტეფორეს ასული შუბითიძე.

ნადირაძეს ირაკლი ქრისტეფორეს-ძეს, დაბადებულს 1921 წელს ქ. თბილისში, ეძებს მეუღლე — მიდოდაშვილი ანასტასია შაქროს ასული.

გოგოხიძეს პავლე ალექსანდრეს-ძეს, დაბადებულს 1918 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ პირველ წყალტუბოში, ეძებს მამა — ალექსანდრე გოგოხიძე.

გოგინაშვილს ზოთა გიორგის-ძეს, დაბადებულს 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში, ეძებენ შვილები — გიორგი და ნინა გოგინაშვილები.



სასარგებლო კონტაქტები


მტკიცდება ახალგაზრდათა მეგობრული ურთიერთობა

პოლონეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იუგოსლავია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, ინდოეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, ფინეთი, გვინეა, — ასეთია იმ ქვეყნების არასრული სია, რომელთა წარმომადგენლები შარშან საქართველოში იყვნენ. უცხოელი ახალგაზრდები გაეცვნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს, ქართველ თანატოლთა შრომასა და ყოფაცხოვრებას.


ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში კომიტეტის თავმჯდომარემ რ. დონაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა, რათა გაფართოვდეს და განმტკიცდეს რესპუბლიკის ახალგაზრდობის ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნების პროგრესულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. წლითიწლობით სულ უფრო მეტი უცხოელი ახალგაზრდა ჩამოდის საქართველოში. შარშან რესპუბლიკის 1000-მდე ახალგაზრდა იყო საზღვარგარეთის ქვეყნებში. თითქმის ამდენივე ქალიშვილი და ჭაბუკი ესტუმრა საქართველოს.

პლენუმმა აირჩია საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტისა და პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. რესპუბლიკის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს რ. დონაძე.



სურათებზე: ვანო ლაფაჩი (ჯგუფურ სურათზე მარცხნივ შუაში): მარჯვნივ, პირველი გრიგოლ ღვინაძე, მეორე — ოთარ შავდია; ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ — ნიკოლოზ ალანია, ივანე ალავერდაშვილი, ბეგლარ ნანობაშვილი, ზოთა გოგინაშვილი, პავლე კაკაურიძე, ირაკლი ვეფხვაძე.



გაუსვით ხელი საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ქვეყანა

თბილისი, ჯ. ათონელის ქ. № 25.